არასამეწარმეო(არაკომერციული)
იურიდიული პირი
ლაგოდეხის სერვის ცენტრი

ა(ა).ი.პ "ლაგოდეხის სერვის ცენტრი"
N.N.J.P "LAGODEKHI SERVICE CENTER"

LAGODEKHI
N.N.J.P.
SERVICE CENTER

2700 ქ.ლაგოდეხი, ჩოლოყაშილისვილის ქ №8;
ტელ:(+995) 577 07 47 27
ელ.ფოსტა:Lagservice2018@gmail.com
ს/კ: 433105659

საბანკო კოდი - LBRTGE22

Lagodekhi, 2700,Tcholokashvili st; ქ №8

Tel.:(+995) 577 07 47 27

email: Lagservice2018@gmail.com

Identification Kode: 433105659

ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიში

2023 წლის 01 იანვრიდან 01 ოქტომბრამდე (ცხრა თვე)

1. მუნიციპალიეტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება საყოფაცხოვრებო და მყარი ნარჩენების გატანა შემუშავებული გრაფიკის მიხედვით;
2. ყოველდღიურად იგვება და სუფთავდება ქალაქის ქუჩები და სკვერები.
3. ხდება სასაფლაოების მოვლა-პატრონობა- ითიბება ბალახი,აგრეთვე ხდება ბალახის შეწამვლა ბალახ საწინააღმდეგო ჰერბიციდებით, იწმინდება ეკალ-ბარდისგან და სუფთავდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, ხდება დაზიანებული ხეების ჭრა ვარჯის ფორმირება;
4. მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება მაგისტრალების გზების გვერდეულების დასუფთავება; სანიაღვრე არხების ამოსუფთავება -გატანა.
5. გამწვანების სპეციალისტების მიერ თეთრდება (შეკირვა) ხეები, ითიბება და ირწყვება გაზონები, ქუჩების გვერდეულები, სკვერები, მემორიალის და სხვა ტერიტორიები. სკვერებსა და პარკებში ირგვება ცოცხალი მცენარეები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ჭაბუკიანი გურჯაანის დამაკავშირებელ გზაზე დაირგო 400 ძირი ოქროსფერი ტუია (აღნიშნული ტერიტორიები წინასწარ გაიწმინდა ეკალ ბარდისგან და მოსწორდა გზის ორივე მხარე 7 კმ,) აგრეთვე, ქალაქის ტერიტორიაზე გაზონებზე დაირგო 234 ძირი სხვა და სხვა სახის მცენარე (სუმბულა, აზალია, სუსანა, გლადიოლოსი, ტრიდერი) ხდება საჭიროებისამებრ დაზიანებული ხეების ჭრა ვარჯის ფორმირებები- ჩატარდა 27 სამუშაო.
6. ახალი ლედ ტიპის სანათებით იცვლება ძველი გარე განათების სისტემა. აგრეთვე ხდება დაზიანებული და გადამწვარი სანათების შეკეთება-შეცვლა.: ამოიცვალა 44 ცალი 100 ვატიანი სანათი, 20 ცალი 9 ვატიანი სანათი, გაიჭიმა 3017 მეტრი სიპი, 2023 წელს ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრის მიერ შესყიდული იქნა 300 ცალი 50 ვატიანი ლედ ტიპის სანათი, რომლებითაც მოხდა ეტაპობრივად ჩანაცვლებები, 9 თვის განმავლობაში ამოცვლილია 300 სანათი, აქედან: ლაგოდეხში-37, მაწიმი-3, შრომა- 26, ნინიგორი-43, ცოდნისკარი-12, ვარდისუბანი-14, ბაისუბანი-4, კართუბანი-13, კაბალი-2, გიორგეთი-4, აფენი-118, ლელიანი-9, არეშფერანი-5.,ფონა-3, ჭიაური -7.

7. მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე დაიდგა და კიდევ იდგმება ახალი ნაგვის ურნები, უკვე განლაგებულია 65 ერთეული ბადიანი სეპარაციისთვის განკუთვნილი და 1119 ერთეული 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი. ხდება დაზიანებული ურნების ჩანაცვლებები საჭიროებებისამებრ.
8. მუნიციპალიტეტის სოფლებში ხდება არსებული წყლის სისტემის მოვლა- პატრონობა, დაზიანებული მილების შეცვლა, მაგისტრალების შეკეთება- მოწყობა. წყლის სათავე ნაგებობებზე სისტემატიურად მიმდინარეობს როგორც გაწმენდითი, ასევე აღდგენითი სამუშაოები. ეტაპობრივად და საჭიროების მიხედვით მაგისტრალების დარეგულირება, შემოვლა შემოწმებები. გარდა ამისა ჩატარდა დაზიანებული მაგისტრალის აღდგენის - 30 სამუშაო.
9. გაიჭრა და იჭრება სანიაღვრე არხები; ყოველდღიურ რეჟიმში და საჭიროების მიხედვით არსებული არხები იწმინდება ნაშალისაგან; მიმდებარე ტერიტორიები კი იწმინდება ეკალ ბარდისგან; დეფექტური აქტების მიხედვით კი ჩატარებულია 31 სამუშაო. ასევე ხდება შიდა საოფლო გზების მოსწორება, ჩატარებულია 15 სამუშაო - დეფექტური აქტების საფუძველზე, ლიკვიდირებულია 2 სტიქიური ნაგავსაყრელი-(შრომა და გიორგეთი)
10. მუნიციპალიტეტში არსებულ ხევებში ტარდება ნაპირსამაგრი და გაწმენდითი სამუშაოები - ბაისუბანი- კაბლის და შრომის ხევში.
11. შეძლებისდაგვარად ხდება დახმარება სტიქიის შედეგად დაზარალებულ ქალაქის და სოფლების მოსახლეობაზე; მომხდარი ორი სტიქიის შედეგად, გურგენიანში და ხიზაში წყალდიდობის შემდეგ ა.ა.ი.პ. სერვის ცენტრის მიერ მოხდა დატბორილი სანიაღვრე არხების გაწმენდა; ლაგოდეხში რუსთაველის, აღმაშენებლის და თავისუფლების ქუჩებზე მოტეხილის ხეები და ტოტები დაეცა საცხოვრებელ სახლებს, სერვის ცენტრში არსებული ტექნიკის და ცოცხალი ძალის მეშვეობით მოხდა აღნიშნული პრობლემების მოგვარება. მუნიციპალიტეტის სოფლებში : თამარიანი, წითელი გორი, არეშფერანი, საქობო, ჰერეთისკარი-მოტეხილი ხეებისგან გაიწმინდა ჩახერგილი გზები, მოხდა მათი გადაზიდვა, დამუშავება და შემდეგ ტრანსპორტირება ლაგოდეხში სერვის ცენტრის საქმიან ეზოში, სადაც ხდება საბოლოოდ დასაწყობება.
12. როგორც სტიქიის შედეგად მოტეხილი, აგრეთვე ბუნებრივად დაზიანებული ხეების დაჭრა დამუშავების შედეგად დამზადებული და დასაწყობებულია საქმიან ეზოში (ბაზრის ტერიტორიაზე) 60 კუბური მეტრი საშეშე მასალა, რომლის გაცემაც მიმდინარეობს ეტაპობრივად საჭიროებისამებრ როგორც საბავშვო ბაღებისთვის, ასევე სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე.
13. მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ღონისძიებებში ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრი უწევს სხვა და სხვა სახის დახმარებას შესაბამის სამსახურებს.
14. 2022 წლიდან ამოქმედდა სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან შრომის უნარიანი წევრების დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ა.ა.ი.პ. სერვის ცენტრის მიერ განხორციელდა სოც დაუცველი მოსახლეობის დასაქმება სხვა და სხვა მიმართულებით როგორც ქალაქში , ასევე მუნიციპალიტეტის თხუთმეტივე თემში. მათი დახმარებით სისტემატიურად (ყოველდღიურ რეჟიმში) ხდება როგორც ცენტრალური, ასევე შიდა სასოფლო გზების გზის გვერდეულების, გაზონების

15. მოწესრიგება , სანიაღვრე არხების ამოწმენდა, ბალახის თიბვა, მოედნების,პარკების, სკვერების, ავტობუსების გაჩერებების დაგვა დასუფთავება კეთილმოწყობა, ხდება

სასაფლაოების მოვლა პატრონობა: ითიბება ბალახი და სხვა. სექტემბრის მონაცემებით დასაქმებულია 464 ბენეფიციარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისა და ლაგოდეხის სერვის ცენტრის მიერ, ნარჩენების მართვის სფეროში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, წელს, ლაგოდეხმა ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტის სტატუსი მოიპოვა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამასთან აღსანიშნავია, რომ იაპონიის საელჩოს სოლიდური გრანტის ფარგლებში შეძენილია ნაგავმზიდი კომპანია თეგეტა მოტორსისგან, რომლის გადმოცემაც განხორციელდა 2023 წელს; გადმოგვეცა აგრეთვე სეპარაციისთვის განკუთვნილი ბადიანი ურნები, რომლებიც განლაგდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - (65 ურნა) .

მუნიციპალიტეტის მერიიდან ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრს გადმოეცა მწნეხავი აპარატი, სადაც ხდება ბადიან ურნებში შეგროვილი პლასტიკის ბოთლების დაწნეხვა. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა გამართული სერვისის დასანერგად.

აგრეთვე, შ.პ.ს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიიდან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს გადმოეცა ოთხი ერთეული IVECO ს ტიპის ნაგავმზიდი და ერთი ერთეული პიკაპი ბორტიანი.

ზ/ ჩამოთვლილ და სხვა დამხმარე სამუშაოების შესრულებას ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრი'' ახორციელებს ოთხი მიმართულებით განყოფილების მუშაობით:

1. სასმელი წყლის ექსპლუატაცია
2. გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია
3. დასუფთავება და ნარჩენების გატანა
4. მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა

2023 წლის 9 თვის მონაცემებით შესრულებული სამუშაოების ანგარიშად მოგახსენებთ , რომ ჩამოთვლილი სამუშაოები მიმდინარეობს ყოველდღიურ რეჟიმში, გახარჯული თანხები მოცემულია ასევე განყოფილებების მიხედვით:

1. სასმელი წყლის ექსპლუატაცია - 70494.06 ლ
2. გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია - 215430.39 ლ
3. დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 755931.86 ლ
4. მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა - 115142.86 ლ

სულ --1156899.17 ლ

ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრის დირექტორიე დროებითი ფუნქცია მოვალეობის შემსრულებელი

/ხათუნა ხელაშვილი/